ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 133

25 მაისი
"---" --------- 2018 წ.

ქ. თბილისი

შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა“ (ს/ნ: 204513687) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტის და ამავე კოდექსის 127² მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N18.295.492 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა“ (ს/ნ: 204513687) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N18.295.492 განკარგულების შესაბამისად, შეიცვალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტს“ (ს/ნ: 204513687) შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულების აუქციონის პირობების „გ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) 01.14.15.001.315 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან არანაკლებ 200 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, აუქციონის ჩატარებიდან არაუმეტეს 4 (ოთხი) წლის ვადაში, ააშენოს ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობა ან განახორციელოს არსებული შენობის 200 კვ.მ ფართის რეკონსტრუქცია, სადაც შემდგომში განთავსდება მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოფიზიკური ობსერვატორია.“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**